გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათდასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 მარტს.

გაზეთი „**ივერია**" მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.


**კნიაჟნა ეკატერინე ივანეს ასული ბარათაშვილისა, კნეინა მარიამ ივანეს ასული ამილახვრისა** და **კნეინა ნინო ზაალის ასული ანდრონიკაშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველნი დისას და მეორე—მამიდისას, **კნეინა ელისაბედ ივანეს ასულის ორბელიანისას,** და სთხოვენ მობრძანდნენ სამშაბათს, 3 მარტს, გამოსასვენებლად განსვენებულის გვამისა, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

განსვენებულს დაასაფლავებენ ს. კუმისის წმ. სამების ეკკლესიაში. პანაშვიდი იქნება გადახდილი ნაშუადღევის 1 საათს და საღამოს 8 საათზედ. (1—25—1)

ტფილისის ქალაქის მილის წყალის კანტორა აცხადებს: რადგან სახლებში მილის წყალის გაყვანის მსურველთა რიცხვი გამრავლდა, ქვემო მოხსენებულს ქუჩებზე, მილების განსამატებლად, და ჩვეულებრივის ტარიფით გარდასახადის შემოსავალმა იქამდე აღიმატა, რომ საკმარისია დანახარჯის აღსადგენად, ამიტომ ქალაქის გამგეობამ 1 თებერვალს დაადგინა: პირველ აპრილიდგან ვედრო წყალში 1/5 კ. გამოერთმევათ აბონენტებს შემდეგის ქუჩებისა: ალექსანდრესი, ავჭალისა, ძველ ინსტიტუტისა, ველიამინოვისა, დიდის მრუდე ქუჩისა აბას-აბასის მეიდნითურთ, ანდრეევისა, ვარანცოვის წყლის პირისა, ერმოლოვისა, ათვთიაქისა, ლორის-მელიქოვისა, პუშკინისა, ძველ-არსენალისა, გეიდენოვისა, ამაღლებისა, სალდათების ვიწრო ქუჩისა და სურბ-კარაპეტის აღმართისას. (3—3)


## სომეხთა ეკკლესია

კაი ხანია ჩვენს, ქართველების, გვერდით დიდი მოძრაობაა. მოძრაობაში მოსულია ჩვენი ძველი მეზობელი ერი—სომხობა. სახლობასა თუ ქუჩაში, კლუბებსა თუ სასტუმროებში, შინ თუ გარედ, სადაც-კი რამდენიმე სომეხი მოიყრის თავს, უმთავრესი სალაპარაკო ერთი და იგივე აქვთ. ერის კაცნი და სამღვდელონი, მდიდარნი და ღარიბნი, ქალნი და კაცნი, უბირნი და განათლებულნი, ერთს მისწრაფებას გაუტაცნია, ერთი სანატრელი აქვთ, ერთის საგნისაკენ მიიზიდებიან.

რა არის ეს საგანი? ეს გახლავთ ამორჩევა სომხეთა ეკკლესიის მეთაურისა, პატრიარქ-კათალიკოზისა, ეჩმიაძინის სასულიერო ტახტის ანუ საყდრის მპყრობელისა...

სამწყსო ირჩევს თავისს მწყემსთა-მწყემსს, თავისს სულიერს მამათ-მამას, შუამდგომელსა ღმერთისა და ხელმწიფის წინაშე. დიდი საგანია და უძვირფასესი უფლებაა განა?

და აი ნახეთ, რა საშურველი, რა სანატრელი ნაყოფი მოსდევს ამ დალოცვილს უფლებას! უპირველესად ყოვლისა სომეხთა ერი წარმოადგენს არა უხმოსა და უსიტყვო ნახირს, რომელსაც მენახირე, საითაც უნდა, იქით უზავს თავს, არამედ მორწმუნეთა კრებულს, რომელიც შეჩვეულია თავისის სიკეთისათვის ზრუნვასა და ამის გამო შემკულია სიფხიზლით, მხნეობითა და თვით-მოქმედებით. იმავე უფლების წყალობითა და მეოხებით, სომეხთა ეკკლესიის წინამძღოლად არის არა სხვა ვინმე, არამედ ღვიძლი მამა, იმავე ხალხის საუკეთესო შვილთაგანი, შეკავშირებული თავისს სამწყსოსთან სისხლითა და ხორცით, სულითა და გულით, ხასიათითა და მისწრაფებით...

ამორჩეული ერის საყოველთაო სურვილით, სომეხთა კათალიკოზი დაუცხრომლად სცდილობს გაამართლოს ხალხის ნდობა, ერის იმედი და იყოს ჭეშმარიტი მწყემსი თავისის სამწყსოსი. ეჩმიაძინის ტახტის სიმაღლიდგან მხნედ, განუწყვეტლივ და ხმა-მაღლა გაისმის ქადაგება არა გაუგებარს ენაზედ, არამედ ხალხის დედაენაზედ,—ქადაგება წმინდა ზნეობისა, ღვთისა და კაცის სიყვარულისა, თავისის ერის, ენის ლიტერატურისა და ისტორიის ერთგულებისა, თავის სჯულისათვის თავდადებულობისა. „ღმერთი და სომეხთა ერი", აი ორი დიდებული საგანი, რომელსაც ემსახურება ეჩმიაძინის კათალიკოზი და რომელსაც ამსახურებს მთელს თავისს სამღვდელოებას, თითოეულს წევრს თავის სამწყსოისას. და ეს სანატრელი სურათი პირდაპირი შედეგია ხსენებულის უფლებისა, იმ უფლებისა, რომლის ძალითაც თითონ ერი, თითონ მთელი სამწყსო რჩეულთაგან ირჩევს თავისის ეკკლესიის მეთაურს, მთავარ-წინამძღოლს...

თავშივე განსპეტაკებული საქმე მიმდინარეობს შემდეგშიაც ისევე სპეტაკად. მამულიშვილი კათალიკოზი თავისს თანაშემწეებს ირჩევს, რასაკვირველია, საუკეთესო მამულიშვილთაგან. მთავარ-ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი სომეხთა ეკკლესიისანი სულ ღვიძლი შვილები არიან თავისის ერისა, ერთნი მასთან სულითა და ხორცით, როგორც თვით კათალიკოზი, მათი უფროსი. ისინი არიან მხნე მცველნი, ერთის მხრით, თავისის სამწყსოს სასულიერო ინტერესებისა, მეორე მხრით, ეროვნულ ფისებათა და საუნჯეთა. ვერც ერთსა და ვერც მეორეს ისინი ვერ ულალატებენ, რადგანაც კარგად იციან და ჰხედავენ, რომ მათს მოქმედებას დაუცხრომელად ადევნებს თვალ-ყურს მზრუნველი და მოსიყვარულე მამა სომეხთა ერისა.

მამულიშვილნი ეპისკოპოსნიც თავის ხელ-ქვეითებს ირჩევენ აგრეთვე მამულიშვილთა შორის. სომხის სამღვდელოთა მთელი დასი ხორცია ხალხის ხორცისაგან, სისხლია ხალხის სისხლისაგან, და რადგანაც ეს მახლობელნი მწყემსნი ხალხისანი ინიშნებიან მამულიშვილების მიერ და მუდამ იმათის ფხიზელ ზედამხედველობის ქვეშ არიან, ამიტომ ერთგულად ემსახურებიან თავის სამწყსოს სიკეთესა, სულიერსა და ხორციელსა, იმისს კეთილდღეობასა და ბედნიერებასა. ეჩმიაძინის დიდებულის ტაძრიდგან დაწყებული ვიდრე უკანასკნელ სოფლის ეკკლესიამდე ყველგან გაისმის წირვა-ლოცვა, გალობა და ქადაგება ერის შვილების მიერ და ერისავე ენაზედ. მოდი და ნუ შეერგება სამწყსოს ამისთანა წირვა-ლოცვა და ქადაგება!

ხოლო სასულიერო მწყემსნი, მამულიშვილნი თავის თავად როდი ჩნდებიან, ბუნებით როდი იბადებიან. იმათ დანერგვა უნდათ შესაბამს ნიადაგზედ, ეჭირვებათ გამოზრდა, დამთარება, განმტკიცება. ამისათვის საჭიროა, ყოვლად საჭირო, სასულიერო ეროვნული სწავლა-განათლება. ეს კარგად აქვს იმ თავიდგანვე შეგნებული სომხის სამღვდელოებასა და საქმეც ამ აზრის შესაბამად მოუწყვია.

სასულიერო ეროვნულს განათლებას სომეხთა შორის საძირკვლად აქვს მრავალი სასულიერო სასწავლებელი, სადაც მთელი სწავლა, ყოველის საგნის შეთვისება სწარმოებს არა უცხოსა, გაუგებარს ენაზედა და თუთიყუშურად, არამედ სომხურს ენაზედ, სრულის შეგნებით. ამის გამო სკოლა მოსწავლეთა გონებასა და გულს კი არ უჩაგრავს და არ უხშობს, არამედ ანვითარებს, ამდიდრებს ნათელის ცოდნითა, უნერგავს გულში განსაზღვრულს კეთილშობილ გრძნობა-მისწრაფებას...

სასულიერო სასწავლებლებს მოსდევენ სასულიერო სემინარიანი, დაფუძნებულნი და აგებულნი იმავე ეროვნულს ნიადაგზედ. ღვთის-მეტყველება, ისტორია, ლიტერატურა, მათემატიკა და ყოველი სხვა მეცნიერებისა აქაც ისწავლება იმავე მშობლიურის ენის შუამდგომლობით, იმავე სრულის შეგნებითა და შერგებით. ეს სემინარიანი თვისთა მოწაფეთა, მომავალ მწყემსთა ერისათა, გონებისა დ͞ გულის ათასის ძაფით მტკიცედ აკავშირებენ სომეხთა ერის აწმყოსა დ͞ წარსულს ცხოვრებასთან, მის გონებითს ნაწარმოებთან, სასულიერო დ͞ საერო ლიტერატურასთან. თავის ერის ენა, მოთხოვნილებანი, ხასიათი, ღირსებანი და ნაკლულევანებანი ამ მომავალს მამებს ერისას ზედმიწევნითა აქვთ შესწავლილი თავის ეროვნულს საშუალო სასწავლებლებში. როგორც მკურნალი, რომელმაც კარგად იცის მდგომარეობა თავის ავადმყოფისა, შესაბამს წამალს აძლევს და მარჯვედა ჰკურნავს, ისე სომეხთა სამღვდელოებაც მარჯვედ ჰმწყსის თავისს ერსა, რომლის ავ-კარგიანობა დაწვრილებით და ზედმიწევნითა აქვს შესწავლილი.

მწვერვალს და გვირგვინს სასულიერო განათლებისას შეადგენს სასულიერო აკადემია, დაარსებული ეჩმიაძინში. ეს უმაღლესი სასწავლებელი ჰბრწყინავს იმავე ეროვნულის მოწყობილებითა და მიმართულებით. აქაც გამეფებულია სომხური ენა, რომელზედაც ასწავლიან ყველა მეცნიერებასა, სასულიეროსა, თუ საეროს. ყოველ წლივ დას-დასობით გამოდიან ამ აკადემიიდგან განათლებულნი ღვთის-მეტყველნი, ღვთისა და ეროვნობის სიყვარულში აღზრდილნი, და შესაბამად მომზადებულნი თავისის მაღალის დანიშნულების აღსასრულებლად.

გარნა სომხური სასულიერო სასწავლებლები სამივე ხარისხისა მარტო იმითი-კი არ არიან ზედ გამოჭრილნი სამწყსოს საჭიროებაზედ, რომ ყოველი საგანი ისწავლება სრულის შეგნებით მშობლიურს ენაზედ, რომელიც, მუდმივ მოქმედებისა და ვარჯიშობის გამო, დღითი დღე წინ მიდის და მდიდრდება ლექსიკონითა და ფორმებით. არც იმითი თავდება საქმე, რომ სამშობლოს გეოგრაფიას, სომხურს ისტორიას, საეროსა და სასულიეროს, აგრეთვე ლიტერატურას, ძველსა და ახალს, მთავარი ყურადღება აქვს მიპყრობილი. ამ ორს, დიაღ ძირითადს, ღირსებას ემატება ისიც, რომ ყოველ სომხურს სასწავლებელში მასწავლებლებადა და აღმზრდელებად არიან არა უცხო გულგრილნი მოჯამაგირენი, არამედ ღვიძლი შვილნი ერისა, გულ-წრფელნი და ერთგულნი მოსამსახურენი წმიდა, ღვიძლის საქმისა.

ასეთი გახლავთ ის სამ-სართულიანი ეროვნული სასახლე სასულიერო განათლებისა, რომელიც აგებულია და გაჩაღხული ეროვნულის კათალიკოზის თაოსნობითა და წინამძღოლობით...

ამ წალმართს, ჭეშმარიტს გზაზედ აღზრდილი სამღვდელოება მოდი და ნუ იმოქმედებს წალმართად, სწორედ, ქველურად!

გაიცანით სომხური სასულიერო მწერლობა და თქვენთვის ცხადი შეიქმნება, თუ რა საშურველი შედეგი მოსდევს ამ ეროვნულს სასულიერო განათლებას. უპირველესად ყოვლისა სომხის ერი დიდი ხანია ეღირსა დაბადებისა და სახარების დაბეჭდვას თავისს გასაგებს ენაზედ და ყოველს სომეხს, რომელმაც-კი წიგნი იცის, შეუძლიან შეგნებით იკითხოს საღმრთო წერილი, შეითვისოს სასულიერო ნათელი და გახდეს ნამდვილი ქრისტიანი.

შემდეგ: შესაბამნი, ხალხის ცხოვრებაზედ ზედგამოჭრილნი ქადაგებანი მრავალნი იბეჭდებიან ყოველ წლივ სომხურს ენაზედ; პერიოდული ყოველ თთვიური სასულიერო გამოცემა ამავე ენაზედ გამოდის არა ერთი და ორი, არამედ ათობით; ზნის მასწავლებელი წიგნაკები ათასობით იფინება ხალხში და ჰკურნავს მის ნაკლულევანებას, აუკეთესებს მის ხასიათსა, ჰნერგავს სათნოებასა და ამასთან აყვარებს თავისს ეროვნებას, ყოველს საუნჯეს სომხურის ერისასა: ენასა, ლიტერატურასა, სამშობლო ქვეყანასა მისის წარსულითა და აწმყოთი.

მთელ სომხურ სასულიერო ლიტერატურის დროშაზედ აწერია იგივე ცხოველ-მყოფელი დევიზი, დედააზრი, რომლითაც ხელძღვანელობს ერის მიერ არჩეული მეთაური ეკკლესიისა: „ღმერთი და სომეხთა ერი". ესევე მეთაური არის სათავე, პირველი მიზეზი სასულიერო ეროვნულის ლიტერატურის აღორძინებისა, რადგან იგი აძლევს ყველას მაგალითსა და აქეზებს ამ მაღალ მნიშვნელობიანს საქმეში, როგორც აქეზებდა საქმითა და სიტყვით წარსულს საუკუნეში საქართველოს დიდებული კათალიკოზი ანტონ პირველი, რომელმაც ქართული ლიტერატურა მთელის ორმოცის თხზულებით გაამდიდრა.

ამ სახით, სომეხთა ეკკლესია წარმოადგენს არა არეულ-დარეულს სახლობას, არამედ კეთილად განწყობილს სასულიერო ოჯახს, რომელსაც განაგებს და ჰმართავს ღირსეული მამულიშვილი სრულის შეგნებითა და გულწრფელის სიყვარულით, ღვიძლი მამა, დაუძინებლად მზრუნველი თავისის ერის ქვეყნიერისა და ზეციერის ბედნიერებისათვის.

ნ. კ—ძე

## ახალი ამბავი

*** კიდევ კაცის-კვლა და კიდევ კუკიის ხიდის ყურზედ. ჯერ ამ სამიოდე დღის წინად ორი კაცი დასჭრეს მესამე — საწყალი ქიტიაშვილი წუთი-სოფელს გამოასალმეს და აი, გუშინ-წინაც კვლავ განმეორდა ამ გვარივე საზარელი ამბავი. საღამოს 11 საათზედ, ენიკოლოფოვის სახლში, მეჩოხე ალექსანდრე გოგორიშვილის სახელოსნოში შევიდა იმერელი აზნაური კონსტანტინე დიმიტრის ძე წერეთელი, უეცრად ხანჯალი იძრო და დასცა იქვე მძინარე გლეხს იმერელს, ივანე დავითის ძეს ინანეიშვილს წელში, მეთორმეტე ნეკნს ქვემოდგან. ამ დროს იმავე სახელოსნოში ორი ხელოსანი იჯდა

და მუშაობდა. წერეთლის შესვლაზე ვერა მოისაზრეს-რა, თორემ შეიძლებოდა უბედურება არა დატრიალებულიყო-რა. მხოლოდ როცა წერეთელმა ხანჯალი დასცა მძინარეს, მაშინ წამოცვივდნენ და ყვირილი მორთეს. წერეთელი გაქცევას აპირობდა, მაგრამ იმავე წუთს გაჩნდა პოლიციის მე-9 ნაწილის მოხელე ბ-ნი ივანე ბაბალოვი, ხანჯალი წაართვა, გათოკა, პოლიციაში წაიყვანა, დასწერა შესაფერი ოქმი და წერეთელი გამომძიებელს ჩააბარა. დაჭრილი ინანეიშვილი მაშინვე საქალაქო სამკურნალოში წაიყვანეს. ექიმებმა სთქვეს, საბრალო ამ ჭრილობას ვერ გადურჩებაო.

*** დღეს, 1 მარტისათვის დანიშნული საზოგადო კრება ტფილისის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა გადაიდო, რადგან მთავარ-მმართებელი კავკასიისა გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი ამ ჟამად ავად იმყოფება და საზოგადო კრებას ვერ დაესწრება. ჯერ არავინ იცის, საროდიოდ იქნება საზოგადო კრება, და ფრიად საყურადღებო კრება-კი უნდა იყოს. როგორც ეხლა გამოირკვა, საზოგადო კრებამ უნდა დაამტკიცოს თვით ამ საზოგადოებისა და საბაღოსნო სასწავლებლის ანგარიშები, უნდა მოისმინოს ბ-ნ ტარატინოვის მოხსენება: „მეურნეობა საძირკველია ყოვლისავე სიმდიდრისა“ დ წერილი წევრის მურომცევისა: „გამონაცადი მინდორი პატარძეულში“. ამას გარდა, საზოგადო კრებამ უნდა ამოირჩიოს საზოგადოების საბჭოს წევრნი, მდივანი და ხაზინადარი.

*** როგორც შევიტყეთ, მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელესოებას, საქართველოს ეგზარხოსს პალადის უბრძანებია, რომ სამკითხველო დაარსდეს ამიერ-კავკასიის მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სამლოცველო სახლშიო, რომელიც ციციანოვის აღმართთან იმყოფება, № 47. განსაკუთრებით უფრო იმიტომ უცვნია აქ საჭიროდ სამკითხველოს გამართვა, რომ მწვალებლები უფრო ამ ადგილსა სცხოვრობენ. სამკითხველოში სარწმუნოებრივ-ზნეობრივის შინაარსის წიგნები იქნება. ამავე აზრისათვის გამოწერილია რამდენიმე სასულიერო ჟურნალი. სამკითხველო ღია იქნება კვირა-უქმე დღეებში, ნაშუადღევის 12 საათიდგან 4 საათამდე, ესე იგი სწორედ „დაუჯდომელის“ კითხვის დაწყებამდე, რადგან შემდეგ მწვალებლებთან ბაასი და მოძღვრება იმართება ხოლმე.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ცნობილი ჰიპნოტიზორი და შთამგონებელი ვილჰელმ ლერხი. ლერხს განზრახვა აქვს ტფილისში გზად გავლის გამო რამდენიმე წარმოდგენა გაჰმართოს. პირველს წარმოდგენას ლეხი გაჰმართავს 3 მარტს, სამშაბათს, გერმანელების ბაღში, მიხეილის ქუჩაზედ, და ფასებიც დიდად დაკლებული იქნება. მეორე წარმოდგენა-კი იმ კვირავე გაიმართება ტფილისის კრუჟოკში კრუჟოკის წევრთა და იმათის ოჯახობისათვის.

*** ამ ჟამად ტფილისის ერთს სტამბათაგანში იბეჭდება თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, გადათარგმნილი რუსულად ბ-ნ ა. ბიანკის მიერ. ა. ბიანკი დიდი ხანია, რაც ბარათაშვილსა სთარგმნის, მისმიერ ნათარგმნი ლექსების ზოგიერთი ნაწილი შარშან გაზ. „Одесскія Новости“-ში იბეჭდებოდა და ერთი პაწია ლექსიც ჟურნალ „Русская Мысль“-ში დაიბეჭდა. მთარგმნელს თვით თ. ნ. ბარათაშვილის წერილებიც-კი გადაუთარგმნია. წიგნს წინ წაუძღვება წინასიტყვაობა, თ. გ. თარხნიშვილის მიერ დაწერილი. ამ წიგნშივე იქნება მოქცეული თ. ნ. ბარათაშვილის „მერანი“, ბ-ნ ტხორჟევსკის მიერ გადათარგმნილი. ზოგიერთის ლექსის თარგმანი ჩვენ თითონ მოვისმინეთ და მოგვეწონა კიდეც.

*** თავად-აზნაურთა კომისიას განზრახვა აქვს აირჩიოს ერთი, ან ორი კაცი და გააყოლოს იმ ინჟინერებს, რომელნიც ამ ცოტას ხანში ტფილისიდგან უნდა გაემგზავრნენ და კახეთში გასაყვანის რკინის გზისათვის ადგილები დაათვალიერონ.

*** როგორც ჩვენს გაზეთში გვქონდა მოხსენებული, კავკასიის მკურნალთა საზოგადოებამ გადასწყვიტა „ტფილისის კრუჟოკში“ ლექციების წაკითხვა დამშეულთა სასარგებლოდ. ლექციების პროგრამმა უკვე გამოცხადებულია და ამ წესით იქნება: 4 მარტს ა. ნ. ბაბაევი—ჰიპნოტიზმის განხილვა, 7 მარტს ვ. მ. არწრუნი—ჰიპნოტიური ამბები დაწვრილებით, 11 მარტს კ. გ. გორალევიჩი—ჰავა და სახლის ჰაერი ჰიგიენის მხრივ, 14 მარტს ა. ხ. გრიგორიევი—გადამდები ავადმყოფობა და დეზინფექცია, 18 მარტს ა. ა. მონტვილი—ბავშვების აღზრდა, 21 მარტს ლორის-მელიქოვი—ბავშვების მოვლა, 28 მარტს ი. მ. ფინკელშტეინი—ავადმყოფობისაგან დამცველი წამლობა, პასტერის აცრა ცოფისაგან.

ლექციის ბილეთების ფასი 20 კ.—1 მ. 50 კაპეიკამდეა.

*** ქუთაისის რამდენსამე ახალს ხმოსანს განზრახვა აქვთ უძრავ მამულების საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოება დააარსონ.

*** რუსეთის გაზეთები სწერენ, რომ ამ უკანასკნელს ხანებში დასავლეთ გუბერნიებიდგან ძლიერ მრავალი სიმინდი იგზავნება პრუსიის საზღვრისაკენ, პოლშაშიო. ქალაქ მალბურგში რამდენიმე წისქვილი გაუმართავთ საგანგებოდ სიმინდის დასაფქვავად. პოლშელებს მჭადი უფრო მოსწონებიათ, ვიდრე ჭვავის პური.

*** ფოთი: დღეს, 27 თებერვალს, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა გადაიხადა პანაშვიდი ფოთის საკათედრო ტაძარში სამღვდელო კრებულითურთ განსვენებულის თავად ლევან ივანეს ძის მელიქიშვილის სულის მოსახსენებლად და შესაფერი სიტყვაც წარმოსთქვა განსვენებულის მოღვაწეობის შესახებ. საზოგადოება პანაშვიდს ნაკლებად დაესწრო.

*** ახალბადი: ახალბადში დროებით მცხოვრებნი ქართველნი გიგზავნით წინამძღვრიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ მეორე საქველ-მოქმედო ლოტარის ბილეთების თერთმეტს კუპონს და გთხოვთ ეს კუპონები გარდასცეთ, ვისაც ჯერ არს. გულითა და სულით ვისურვებთ, რომ მცირედს შეწირულებას უმნიშვნელოდ არ ჩაევლოს ზემოხსენებულის სკოლისათვის. აი შემომწირველთა სიაც: კ. ა. გაგუამ 2 კუპონი, პ. ს. გამრეკელმა 1 კ., ლ. ა. კალატოზიშვილმა 1 კ., ა. ა. თონათელიშვილმა 1 კ., გ. ს. ქებაძემ 3 კ., თ. ნ. დ. ჯავახიშვილმა 3 კ.

შემოწირულება გარდაეცა ბ-ნს ილია წინამძღვრიშვილს, რომელიც მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** ბარის-ოსეთი: წარსულის წლის ზღვა-სიმინდის მოსავალმა იმდენი სიმინდის მყიდველები მოიზიდა ბარის-ოსეთში, რომ ანგარიში აღარა ჰქონდა. უბრალო ოსებიც-კი, ვილაც ბედნიერის ფოლაჩიკების ფულებით, ერთმანეთს ეცილებოდნენ და ერთი რომ მერკა სიმინდში ოთხს აბაზსა და ორ შაურს აძლევდა, მეორე—ოთხს აბაზსა და სამ შაურს ახარბებდა. ამ ნაირად, კავკავის რკინის გზის სადგურების საწყობები სავსე იყო სიმინდებით და ახლა სადგურების გარეშემო მინდვრებიც-კი გაივსო სიმინდით სავსე ტომრებით. ასე გასინჯეთ, ხანდახან სიმინდის დაწყობაზედ უადგილობის გამო ხალხში თავების მტვრევაც მოხდებოდა ხოლმე. ამ ნაირად სიმინდის ყიდვამ ბარის-ოსეთში გასტანა თებერვლის პირველ რიცხვამდე. დადგა თუ არა თებერვალი, ერთბაშად შესწყდა სიმინდის მყიდველნიც და ამ ჟამად იშვიათადღა ჰნახავთ სიმინდის მყიდველს კავკავის რკინის გზის სადგურებზედ და ბარის-ოსეთის სოფლებში ხომ ჭაჭანებად არავინ აღარა სჩანს. სიმინდის ყიდვის შეწყვეტის მიზეზი არავინ იცის. არც ის იციან, დიდხანს გასტანს სიმინდის ყიდვის შეწყვეტა, თუ არა. ფასმაც დაიწია სიმინდისამ ბარის-ოსეთში.

წრევანდელი ზამთარი ბარის-ოსეთში ხეირიანი თოვლი არა გვღირსებია და არც გაყინული დედამიწა, სულ ტალახია და ტალახი. ხალხს ძალიან შეუშალა ხელი ამისთანა ტალახმა საზამთრო მუშაობაში.

*** გაზეთს „Т. Л.“-ს შეუტყვია, რომ ეპისკოპოსი ხორენ ნარბეი გარდაიცვალაო.

*** გაზეთ „Каспій“-ში დაბეჭდილია: ამ დღეებში ბაქოში ჩამოვიდა იმიერ-კასპიიდგან სამსახურს გარეშე მყოფი აფიცერი—ლეკი, რომელსაც მართლ-მადიდებლობა მიუღია, რუსის ქალი შეურთავს ცოლად და შვილიცა ჰყოლია. ბაქოში მოსვლის ერთის დღის შემდეგ ცოლისათვის გამოუცხადებია, ამ საათში ტფილისში უნდა წახვიდე და იქ თავი მოიკლაო. თუ 2—3 დღის შემდეგ შენი სიკვდილის ამბავი არ ამოვიკითხე გაზეთებიდგან, მე თითონ მოგკლავო. ცოლმა ეს ამბავი პოლიცმეისტერს გამოუცხადა. პოლიცმეისტერმა აფიცერი დაიბარა და იმანაც აღიარა, მართალია, ცოლს დავემუქრე და ეხლაც ვამბობ, რომ ჩემს მუქარას ავასრულებ და მოვკლავო. მე ჩემს სარწმუნოებას ვუღალატე, ქრისტიანობა მივიღე, რომ ეგ ქალი შემერთო, და ეხლა-კი მღალატობსო. მე მაგის ღალატს დავრწმუნდი, რადგანაც ჩემს ყმაწვილსაც ძილში წამოსცდაო. პოლიციამ ყოველივე საშუალება მიიღო, რომ უბედურება არა მოჰყვესრა ამ ამბავსაო.

---

## ნაკვესი

ერთმა გაზრდილობამ ჩვენში გაქცევად ამოირჩია ერთი სასლის-კაცი და იმას მიანდო თავისის მამულების გამგეობის საქმე. სახლის-კაცმა საქმე წაახდინა და ასე უსაყვედურა გაზრდილობამ:

— აბა შენისთანა სულელს რომ მიენდობა კაცი, ასე მოუვაო.

— სულელი მე-კი არა ვარ, თქვენა ხართ, რომ აქამდის თქვენში ვარ და მაინც ჭკვიანი გეგონეთო.

---

## საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კრება

28 თებერვალს.

კრების თავმჯდომარემ, შტაბის უფროსმა, გენ.-ლეიტენანტმა პერლიკმა აუწყა საზოგადოებას სამწუხარო ამბავი—გარდაცვალება საზოგადოების წევრის გენ.-ადიუტანტის თ. ლ. ი. მელიქიშვილისა და სთხოვა, პატივი ეცეთ განსვენებულის სახელს საერთო ფეხზედ ადგომითაო, რაც შესრულებულ იქმნა. ამას შემდეგ ბ-მა პერლიკმა მოახსენა მცირე ბიოგრაფია თ. მელიქიშვილისა, რამდენადაც იგი ბიოგრაფია შეეხებოდა საგეოგრაფიო საზოგადოებაში განსვენებულის მოღვაწეობას. განსვენებული ყოფილა საზოგადოების თავმჯდომარედ 1880 და 1881 წ. იმის შუამდგომლობით მთავარ-მმართებელს გადაუდვია ყოველ წლივ 1,000 მ. საზოგადოების დასახმარებლად. თ. მელიქიშვილი დიდად მოსურნე ყოფილა, რომ შეედგინათ რიგიანი აღწერა ჩვენის ქვეყნისა, და ამისათვის დაუარსებია განსაკუთრებული თანხა, სადაც შეუტანია თავისი ფული 150 მ. ეხლა ამ თანხისა არის 650 მ.

შემდეგ გენერალმა ზელენოიმ მოახსენა კრებას საზოგადოების გარდაცვლილ წევრების ბიოგრაფია: პალიბინისა, კრაევიჩისა და ლეონარდ პ. ზაგურსკისა. საინტერესო იყო განსაკუთრებით უკანასკნელის ბიოგრაფია. ზაგურსკი ყოფილა შთამომავლობით პოლშელი, სარწმუნოებით ფრანგი, და დაბადებულა 1827 წ. ჩვიდმეტის წლისას გაუთავებია კურსი გიმნაზიაში, კიევის უნივერსიტეტი შეუსრულებია 1849 წ. და მაშინვე მიუღია კანდიდატობის ხარისხი. კავკასიაში ჩამოსულა ლ. პ. ზაგურსკი 1850 წ. და მას შემდეგ თავი აღარ დაუნებებია ჩვენის ქვეყნისათვის. მასწავლებლობდა განსვენებული დედათა ინსტიტუტში, პირველ კლასიკურს გიმნაზიაში და ბოლოს რეალურს სასწავლებელში.

მასწავლებლობას არ დაუშლია განსვენებულისათვის თავ-გამეტებით ემუშავნა ეტნოგრაფიისა და ისტორიისათვისაც. თხუთმეტი წელიწადი ყოფილა „საზოგადოების“ საქმეების გამგებლად და ამ ხანში მრავალი შრომა მიუღია. არაფერს სასყიდელს არ იღებდა თურმე საზოგადოებისაგან, ისე უანგაროდ ჰშრომობდა მის წიგნების წერილების რედაქტორობაში. ასე გასინჯეთ, როცა თვით საზოგადოებას დაუნიშნავს 800 მ. პეტერბურგში წასასვლელად, ამ ფულიდგან მარტო 250 აუღია, თუმცა სწორედ ამ დროს (89 წ.) ლ. პ. ზაგურსკი დიდად შევიწროებული ყოფილა ნივთიერად.

შემდეგ გენ. ზელენოიმ ჩამოთვალა მრავალი თხზულება ზაგურსკისა ჩვენის ეტნოგრაფიისა და ისტორიის შესახებ.

მერე საზოგადოების ერთმა წევრმა მოახსენა კრებას ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორის ს. ა. ეგიაზაროვის მშვენიერ თხზულების შინაარსი: „ამქრების შესახებ“. ამ ორმოცის წლის წინად ბევრი მტერი ჰყოლია ამქრებს, ეგონათ, სიძვირე სანოვაგისა სულ მათი ბრალია და ამისათვის საჭიროა მათი ან სულ მოსპობა, ან ალაგმვაო. განსაკუთრებით სდევნიდნენ თურმე საგანგებო საქმეთა მოხელე იზმიროვი და ბარონი ა. პ. ნიკოლაი, რომელნიც ამქრებს ადარებდნენ აღკრძალულ საზოგადოებათ. საგნის გამორკვევა მთავარ-მმართებელმა თ. ბარიათინსკიმ მიანდო ი. თ. ახვერდოვს, რომელმაც სულ სხვა აზრი შეადგინა ამქრობის შესახებ. ასეთისავე აზრისა ყოფილა შანშიევიც, რომელსაც კიდეც დაუწერია პატარა წიგნაკი: „ორიოდე სიტყვა ამქრობის შესახებ“.

მოხსენების გათავების შემდეგ საზოგადოების წევრმა ბ-მა ნ. ხუდადოვმა იკითხა, თუ შესაძლებელია, გთხოვთ ამიხსნათ, რა კავშირი აქვს საგეოგრაფიო საზოგადოებას ამქრების შესწავლასთანაო, და პასუხად ის მიიღო, რომ საზოგადოების პროგრამმა ძალიან ფართოა არის და ამისათვისაც გავბედეთ ამ მოხსენების წაკითხვა, თუმცა-კი პირდაპირი კავშირი არა აქვსრა გეოგრაფიასთანაო.

დასასრულ წაკითხულ იქმნა ბ-ნ ფილიპოვის მოხსენება კასპიის ზღვის შესახებ. მოხსენებიდგან სჩანდა, რომ კასპიის ზღვა წლითი-წლობით მცირდება და ხმელეთი იქა ჩნდება, სადაც წინად წყალი ყოფილა, რომ ზედა პირი ზღვისა ერთ ნაირი არ არის, აღმოსავლეთისკენ უფრო აწეულია დასავლეთისაზე, და რომ ტემპერატურაც წყლისა ერთ ნაირი არ არისო.

კრება ათ საათზედ გათავდა.

---

## წერილი გორიდამ

გორის ქალაქის საბჭოს კრება

(25 თებერვალს)

რამდენმამე ხმოსანმა შეიტანეს ქალაქის გამგეობაში ქაღალდი, ქუჩები უსუფთაოდ არის, ზოგან ქვაც არ არის დაგებული და ამიტომ ვითხოვთ, ამ საგნის შესახებ იქმნას დანიშნული საბჭოს კრება, რომელზედაც დაწვრილებით იქმნება ახსნილი, თუ რა გვარად და რა ღონისძიებით უნდა ეშველოს ამ საქმესაო. ქალაქის გამგეობამ ამ საგნისა და სხვა წვრილმანის საგნის შესახებ 25 თებერვალს დანიშნა კრება. კრებაზედ იყო თოთხმეტი ხმოსანი. ქალაქის მოურავმა მუსხელიშვილმა მოახსენა კრებას, რომ თქვენ დღეს მოწვეულნი ხართ ძალიან საყურადღებო საქმის შესახებ. ეს საქმეა—ქუჩების დაგება, გაწმენდა და სისუფთავით შენახვა. ამ საგნის გამო კანონი ამბობს, რომ საბჭოს სრული ნება აქვს დაადგინოს, ქუჩები დააგონ თვით სახლის პატრონებმა, ანუ დააკისრონ ქალაქის გამგეობასაო. მაგრამ მე თქვენ მოგახსენებთ, განაგრძო ქალაქის მოურავმა: რომ ქალაქს თუმცა 1892 წლის 1 იანვრისათვის დარჩა სამას

თუმანზედ მეტი, რაიცა კვლავ არა ყოფილა, მაგრამ ამ ფულიდგან თქვენ უკვე გადასდეთ ლიახვის ნაპირის გასამაგრებლად რამდენიმე და დარჩა ას ორმოცი თუმანი; ეს ფული ერთს ქუჩასაც არ გაუძლევს და დანარჩენი ქუჩები ისე დაგვრჩება. ამიტომ გთხოვთ, ამ საგნის შესახებ დალაგებით და აწონ-დაწონვით მოილაპარაკოთ. ნებას გაძლევთ ბაასისას.

ხმ. ან. ანდრონიკაშვილი. სახლის პატრონებს არ შეუძლიანთ თავის ხარჯით დაგონ ქუჩები ქვით; სხვა ქალაქებში ქალაქის გამგეობა თვით თავის ხარჯით აკეთებს ქვაფენილს, მაგალითად ტფილისში, და ჩვენ-კი ქალაქის გამგეობა არაფერში არ გვეხმარება.

ქალაქის მოურავი მუსხელიშვილი. სხვა ქალაქებისა რა მოგახსენოთ და ტფილისში-კი სახლის პატრონები თავის სახლ-კარის წინ თვით თავისის საკუთარის ხარჯით აკეთებენ ქვაფენილს. მე რამდენიმე მაგალითი ვიცი ამისიო. აქ ქალაქის მოურავმა დაასახელა ისინი, რომელთაც თავის ხარჯით უკეთებიათ ქუჩები თავისის კარ-მიდამოს წინ.

ხმ. სარქისოვი. ჩვენ არ შეგვიძლიან, ქალაქმა უნდა იკისროს ახლად გაკეთებაცა, მისი შეკეთებაცა და დაგვა-დაწმენდაც.

ხმ. გრ. ზუბალოვი. მაგ განცხადებაზედ მეც მიწერია ხელი. მე იმ აზრით მოვაწერე, რომ ქუჩები თვით ქალაქის გამგეობამ უნდა ჰფინოს ქვით. ამ საქმეს უნდა მოხმარდეს ის ფული, რომელიც შემოდის ურმებისა, ფურგუნებისა და შემორეკილის საქონლისაგან. ყველა ამისას ჩვენ ხომ დგომის ფასს ვიღებთ და აი ეს ფული მოახმარეთ. რასა ხმარდება ის ფული?

ქალაქის მოურავი. ქალაქის სხვა-დასხვა საჭიროებას. განა ცოტა საჭიროება აქვს ქალაქსა?

ხმ. ზუბალოვი. ჩვენ იმ აზრით შემოვიღეთ ურმების დგომაზედ ფასი, რომ მოხმარებიყო მთლად ქუჩებს. ჩვენ ელიმირზოვის დროს კიდეც დავადგინეთ ასეთი განაჩენი.

ქალაქის მოურავი. არავითარიმე განაჩენი არ არის ამ საგნის შესახებ დადგენილი არავისაგან. მთელი საქმეები გადავსინჯე, აი ეხლაც წინ მიწყვია, მაგრამ არსად არ არის ნათქვამი, რომ ურმების დგომისათვის აღებული ფასი განსაკუთრებით ქუჩებს მოხმარდესო.

ხმ. ზუბალოვი მაინც თავისს აზრზედ მტკიცედა სდგას. ამას მხარი მისცა ბევრმა სხვამაც.

ხმ. თ. მ. ერისთავი. მაკვირვებს ამ ნაირი ლაპარაკი. როგორ შეუძლიან ჩვენს ღარიბს ქალაქს, რომ ყველას სახლის-წინ ქვა დაუგოს, მუდამ შეკეთება იკისროს, ჰგავოს და სწმინდოს? აქამდისაც სახლის პატრონებს უკეთებიათ, ეხლაც იმათ უნდა გააკეთონ, მხოლოდ რემონტი, დაგვა და დაწმენდა ქალაქის გამგეობამ იკისროს.

ამ აზრმა ზოგიერთი ხმოსანი გულის-ხმაში ჩააგდო; რომ ჩაუფიქრდნენ, დაინახეს, რომ მხოლოდ ისინი სცდილობდნენ ქალაქის ხარჯით ქუჩების გაკეთებას, რომელთა სახლების-წინ ჯერ სრულიად არ არის ქვა დაგებული. თუმცა თ. ერისთავის აზრი ბევრს მოეწონა, მაგრამ მაინც ცხადად მხარი არავინ დაუჭირა.

ქალაქის მოურავი. სათქმელი აღარავისა გაქვთ ამ საგნის შესახებ?

ერთს წამს სიჩუმე ჩამოვარდა. მოწინააღმდეგე მხარე იმარჯვებს, პირი უცინით.

ხმ. ს. მგალობლიშვილი. ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვისა.

ქალაქის მოურავი. მართლა, თქვენც გიწერიათ ხელი იმ ქაღალდზედ.

ხმ. ს. მგ—ი. მე ხელი მაგ ქაღალდზედ იმ აზრით-კი არ მოვაწერე, რომ ქალაქის გამგეობა გაჭირვებაში ჩავარდნილიყო და ქუჩებისათვის მოეხმარებინათ ის ფული, რომელიც ურმების სადგომებიდგან შემოდის. მეცა და ზოგიერთს სხვებსაც ის აზრი გვქონდა, და ეხლაც მაქვს, რომ ეს საკითხი საბჭოში გარჩეულიყო და აქვე გადაგვეწყვიტა საბოლოოდ. მე სრული წინააღმდეგი ვარ იმ ხმოსნებისა, რომელთაც სურთ დააკისრონ ჯერ გაუკეთებელის ქუჩების ქვით დაფენა ქალაქის გამგეობასა. იქნება იფიქრონ, ამას, ე. ი. მე, ქალაქში სახლი არა აქვს, არც სხვა მამული, და რა გული დაეწვის ჩვენთვისაო. მე სიმართლისათვის მეწვის გული. თუ-კი მთელს ქალაქში ამოდენა ხანია თითქმის ყველას უკეთებიათ და აკეთებენ კიდეც თავისის ხარჯით ქუჩებს, რატომ ხუთმა-ექვსმა კაცმა, რომელთაც კარ-წინ ქუჩები დაუგებელი აქვთ, არ უნდა გააკეთოს! ქალაქს წელს დარჩა ფული, ვთქვათ, მაგრამ ადვილად შეიძლება, რომ მერმისისათვის ცალი გროშიც არ დარჩეს. ძალიან კარგი, იკისროს ქალაქმა გაკეთება. წელიწადში რამდენს ქუჩას გააკეთებს? ბევრი-ბევრი, ორი ქუჩა გააკეთოს. ასე კუს ნაბიჯით რომ იაროს ქალაქმა, ოცსა და ოც-და-ათს წელიწადს ძლივს გავა ბოლოში; სანამ ბოლოში გავა, გზა-და-გზა სხვა ქუჩების შეკეთება დასჭირდება და საშინელს გაჭირვებაში ჩავაყენებთ ქალაქის კასსას. სიმართლე მოითხოვს, რომ თუ-კი სხვებს უკეთებიათ აქამდე, დანარჩენებმაც თითონ გააკეთონ პირველად, შემდეგში-კი რემონტი ქუჩებისა, მათი სუფთად შენახვა უსათუოდ ქალაქმა იკისროს. ამას გარდა, ქალაქი შეეწიოს იმ სახლის პატრონებს, რომელთაც სიღარიბის გამო თავის ხარჯით არ ძალ-უძთ ქუჩების გაკეთება. მე ვითხოვ, რომ ქალაქის საბჭომ ასეთი განაჩენი დაადგინოს: ახლად დაგება ქუჩებისა დაევალოს თვით სახლის-პატრონებს, ხოლო შემდეგში მათი შეკეთება, შესწორება, დაგვა და დაწმენდა დაეკისროს ქალაქის გამგეობასა.

ხმ. ზ. ხითაროვი, რომელიც აქამდის წინააღმდეგი იყო, ამბობს, რომ მე მუდამ ვაგებ ჩემ სახლ-წინ ქვასა და რატომ სხვამ-კი არ უნდა დააგოსო.

ამ აზრს ბევრმა დაუჭირა მხარი. კარგად ილაპარაკეს ს. ყუზანოვმა და გ. რამაზოვმა. ამას შემდეგ ქალაქის მოურავმა ხმები მოჰკრიბა. ცხრა ხმამ ხუთის წინააღმდეგ გადასწყვიტა: ახლად დაფენა ქუჩებისა დაევალოს სახლის პატრონებს, ხოლო მათი შეკეთება და სისუფთავე ქალაქის გამგეობას.

ხმ. თ. ერისთავი. ადრინდელმა საბჭომ ელიმირზოვის დროს გადასწყვიტა მიეცეს 500 მ. ოქონის ეკკლესიას კედლის მისაწევად, რადგანაც ოქონთან ისე ვიწრო ქუჩა, რომ ურმები ერთმანეთს გზას ვერ უქცევენ და ხშირად უბედურება ხდება ხოლმე. ძალიან კარგი იქნება, სისრულეში მოვიყვანოთ ის განაჩენიო. ქალაქის მოურავმა აღუთქვა მალე შესრულება ნათხოვნისა.

ამ საგნს გარდა, იყო სხვა საქმეებიც. ქალაქის გამგეობამ ითხოვა, რომ დაფასების ფულები ერთს ვადაზედ შემოდიოდეს ქალაქის კასსაშიო, სახელდობრ, შემოდგომაზედაო; ზაფხულში ჩვენი კასსა ცარიელდება და ქალაქი გაჭირვებაში ვარდებაო; კარგი იქნება, წელიწადში ორ ვადაზედ შემოდიოდეს ფულიო: ერთხელ 1 მაისისათვის, მეორედ 1 ნოემბრისათვის, მაშინ ზაფხულში ფული გვექნებაო. საბჭომ შეიწყნარა და დაამტკიცა მოხსენება გამგეობისა. შემდეგ წაკითხულ იქმნა წერილი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, რომელიც სთხოვდა ექირავნა ქალაქს ისეთი სახლი, რომელშიაც ხუთი ათასი ფუთი ხორბალი დაეტეოდეს რუსეთის დამშეულთათვის. თ. მ. ერისთავმა მუქთად დაუთმო თავისის სახლის სარდაფი ერთის წლით. საბჭომ მადლობა გადაუხადა თ. ერისთავს.

კრება გათავდა ღამის მეთერთმეტე საათზედ.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოხუმი. უდროოდ და უღმერთოდ მოკლულ მსაჯულის ვ. ფ. ვადკოვსკის მკვლელი, მისი ცოლი, დღეს თავისუფალია: თანაშემწე ბრალმდებელისამ არა სცნო საჭიროდ მისი დაპატიმრება. ჯერ ხომ ცოლისაგან მძინარე ქმრის მოკვლამ დასცა თავს ზარი აქაურს ქმრებს, ახლა განთავისუფლებამ სულ დავთრები დაუკარგა ამ უბედურებს: „შენი მტერი—ჩვენი საქმეაო, შესჩივიან ერთიერთმანეთს შეშინებული ქმრები: ახალის მოდის ან ტანთ, ან ფეხთსაცმელს არ უყიდი შენს მეუღლეს, შენი მიხვრა-მოხვრა, დალაპარაკება, შეხედვა იმ ქალისა, რომელიც იმას არ მოსწონს, ჭკუაში არ დაუჯდა და გათავდა, ტრახ! დაგცემს მძინარეს რევოლვერს და წაგაბრძანებს უზიარებლად იქ, „სადაც მართალნი განისვენებენ“. მერე ან ბ-ნი გამომძიებელი, ან თანაშემწე ბრალმდებლისა აიღებს, დაიღებს და ასე დაასკვნის: „რადგანაც (მკვლელი) ბრალდებული, აშკარაა, სრულს ჭკუაზედ არ იყო იმ ჟამად და თანაც ეტყობა, რომ „ფსიხოპატკაა“, ამას გარდა სუსტის აგებულებისა და ავადმყოფია, მისი დაპატიმრება საშიშია, განთავისუფლებულ იქმნასო!“ აფერუმ! ვაკო, თუ რაღაც ჯანაბა—ფსიხოპატკაა, მისი ადგილი საგიჟეთია, თუ სრულს ჭკუაზედ არის—საპატიმროა. ცოტანი არიან, რომ ორი ორშაბათი-კი არა, როგორც ამ შემთხვევაში, ნახევარ ორშაბათიც არ უძევთ წინ, მაგრამ მაინც და მაინც დაპატიმრებულნი არიან ბოროტ-მოქმედებისათვის!

თუმცა „ივერიაში“ „Нов. Обоз.“-დგან იყო გადმობეჭდილი წერილი ამ საგნის შესახებ, მაგრამ ვგონებ არ იქნება მეტი ამ საშინელის კაცის-კვლის ამბის გამო კიდევ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. განსვენებული ვ. ფ. ვადკოვსკი ლიცეელი გახლდათ, კარგისა და მდიდრის ოჯახის შვილი, დიდი ნებიერი დედ-მამისა. ვიდრე შეძლება ჰქონდა, ხარჯს არ ერიდებოდა, არა ჰზოგავდა არც თავისთვის, არც თავისის კარგ მეგობრებისთვის. გამიგონია, რომ მომეტებული ნაწილი მამისკან დარჩენილ ქონებისა ძმის ვალების (ძმა გაყრილი ჰყავდა) გადახდას მოანდომაო. მჯერა, გულ-კეთილი კაცი იყო. ნათესაობა და ნაცნობობა დიდი ჰყავდა, ასე რომ ყოველთვის შეეძლო უკეთესი და უფრო შესაფერი თავის ნიჭისა ადგილი ეშოვნა, სადაც-კი მოისურვებდა, მაგრამ მან სოხუმი ირჩია ცოლის ავადმყოფობის გამო: ურჩიეს ექიმებმა, სუხუმი შენის ქლექის ცოლისათვის დიდად სასარგებლო იქნებაო...

აქაური საზოგადოება ორ ნაწილად გაჰყო ამ უბედურებამ: ზოგი მკვლელს ცოლს ამართლებს, ზოგი — იმის მსხვერპლს ქმარს. მოგეხსენებათ, ცოლ-ქმრობის საქმეში გარევა ძნელიაო, და ძნელია მისი განსჯაც: ბევრი რამ მოხდება ცოლ-ქმარს შორის ისეთი, რაც გარეშეთათვის მიუხდომელი, მიუკვლეველია... ამის გამო მხოლოდ ამ საქმის გარემოებას მოგახსენებთ და თქვენ თვით დაასკვენით, ვინ მართალია და ვინ მტყუანი.

ვადკოვსკიმ შეირთო ქვრივი, რომელსაც თან მოჰყვა ქალიშვილი. ვადკოვსკის ცოლის პირველი ქმარი დიდი მდიდარი კაცი იყო და საზღვარ-გარედ, ელდის გამო, ერთბაშად დალია სული. დარჩა კარგი ქონება. ზოგი ქალს ერგო, ზოგი ცოლს. ქალის თავნიდგან ცოლს შეეძლო მოეხმარნა შვილის აღსაზრდელად მხოლოდ სარგებელი, თავნი ისე უნდა ძებულიყო ბანკში ქალის სრულ-წლოვანობამდე. მკვლელი ქეიფის მოყვარე იყო და გაუსო ხელი თავისს თავნს. მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე ცოლ-ქმარმა ბოლო მოუღო იმ ფულს, რომელიც ერგო მკვლელს. რომ აღარა ჰქონდათ-რა საცხოვრებელი, განსვენებული სამსახურში შევიდა. ამბობენ, რომ დასაბამითვე ტანჯული იყო თავის ცოლის ხელშიო: არა ერთხელ შემოუმტვრევია ცოლს ქმრისთვის ყბები, არა ერთხელ ჯოხი დაუმტვრევია მის ზურგზედაო... ამისთანებს ბევრს ამბობენ, მაგრამ ქმარი ყველაფერს უთმენდა და ხმას არ იღებდაო...

სიკვდილს დიდი ხანია უქადდა. შარშან ორჯერ ესროლა რევოლვერი, ერთხელ გადარჩა, მხოლოდ მეორედ—ოქტომბერში-კი ვეღარ გადურჩა და ხელში შეიქმნა დაჭრილი ორის ტყვიით. თუმცა ბევრი ურჩიეს უბედურს: მოშორდი მაგისთანა ცოლს, თორემ ბოლოს მოგიღებსო, მაგრამ რჩევა არავისი არ გაიგონა: დღეს არა, ხვალ უნდა მოკვდეს და მომაკვდავს როგორ დავანებო თავიო, იძლეოდა პასუხს. ის-კი არა თუ, მომაკვდავი დღეს ცოცხალია, გამარჯვებული და ის-კი „მიწაა“! მძინარეს მიეპარა, გაუსინჯა გულის ადგილი, დასცა რევოლვერი და იმ წამსვე სული გაანთხევინა. ეტყობოდა, საცოდავი არც-კი გაძრეულიყო: როგორც ეძინა—ხელთავ ქვეშ ამოდებული,—ისე ესვენა! შემდეგ ტანსაცმელიდგან ამოართო თურმე ფული და უბრძანა მოახლეს ჩაის მოტანა: „მე ჩემი მოვალეობა შევასრულე და შემიძლიან ეხლა ჩაი დავლიოო“... ცოლ-ქმართ შუა წინად რაც იყო, იმას თავი დავანებოთ. თქვენ ეს გარემოება მოკვლისა განიხილეთ და გასინჯეთ: მძინარეს თოფი დასცეთ, გაძარცოთ და იქვე შიმშილ-მწყურვალება მოიკლათ! გამომძიებელი და ექიმი იმ აზრისანი არიან თურმე, რომ მკვლელი სრულს ჭკუაზედ იყო მაშინაცა და ახლაცაო... ცოლი ძალზედ ეჭვიანობდა თურმე ქმრის შესახებ. სხვა ქალს არ შეეძლო ან დაჰლაპარაკებოდა და ან ქუჩაზედ გაევლო იმათი სახლის გვერდით და შეეხედნა მისთვის, ცოლს ერთი ორიანტრიალი უნდა მოეხდინა.

კელასურელი-იპა

---

## უცხოეთი

გერმანია. ამ მოკლე ხანში, როგორც ჩვენს გაზეთშიაცა გვქონდა მოხსენებული, დიდი უწესოება მოახდინეს ავსტრი-ვენგრიასა, იტალიასა და გერმანიაში, განსაკუთრებით-კი ბერლინში. თუმცა ბერლინში მომხდარ უწესოების ბრალს სოციალ-დემოკრატებსა სდებდნენ და ამბობდნენ, იმათ წააქეზეს მუშებიო და სხვ., მაგრამ ეს დასაჯერებელი არ არის და აი რატომ: დაიწყო თუ არა მუშების ყრილობანი ბერლინში, სოციალ-დემოკრატები მაშინვე იმას ურჩევდნენ, რაც შეიძლება, წყნარად და მშვიდობიანად მოიქეცით და უწესოებას ნურას მოახდენთო. თუ ამ საქციელს სოციალ-დემოკრატებისას იმითი ახსნის ვინმე, რომ სოციალისტებს ეშინოდათ სოციალისტთა შესახებ სასტიკ კანონების შემოღებისა და ამიტომ პირფერობდნენო, არც ეს შეიძლება, რადგანაც, როგორც ნამდვილის წყაროებიდგან სჩანს, არეულობის დროს ისეთის კაცების მაღაზიები აიკლეს, რომელნიც სოციალ-დემოკრატებად არიან ცნობილნი.

მაშ რა ხალხია ის ხალხი, რომელიც უწესოებას ახდენს ბერლინში? იმის თქმა ხომ არ შეიძლება, რომ მარტო მძარცველთა ხროვა შეიკრიბა და სხვა აზრი არა ჰქონიათრა, გარდა იმისა, რომ მაღაზიები აეკლოთ და სხვისი სარჩო ხელთ ეგდოთო?

ბერლინში უწესოების ჩამდენი ხალხი არც გაწვრთნილ მუშათა დასია და არც ისეთი ხალხი, რომელსაც განსწავლული მეთაურები ჰყავს, მაგრამ მაინც-კი მუშა ხალხია, რომელსაც დღეს მოეპოვება სამუშაო და საშოვარი, ხვალ-კი აღარა და რომელიც ამის გამო დარღვევას უქადის აწინდელს საზოგადოებურს წეს-წყობილებას. აი ამ მხრივაა საყურადღებო ბერლინში მომხდარი უწესოებანი. ეს ამბავი შედეგია იმ გარემოებისა, რომელიც, გერმანიას გარდა, ბევრს სხვა სახელმწიფოშიაც არის. ეს გარემოება შემდეგი გახლავთ. აწინდელ საეკონომიო წეს-წყობილების ვითარებისა გამო საჭიროა მუდამ მოიპოვებოდეს მთელი რაზმი უსაქმო მუშა ხალხისა, რომელმაც მრეწველობის გაძლიერებისა და შემცირებისდა გვარად, ხან უნდა იმატოს და ხან იკლოს. ესეც იმიტომ, რომ ბაზრისთვის ზოგჯერ ბევრი საქონელია საჭირო და, მაშასადამე, მრეწველთათვისაც მომეტებული მუშა, და ზოგჯერ-კი ნაკლები.

ბერლინისებური უწესოებანი წრეულსაცა და სხვა დროსაც სხვა სახელმწიფოებშიაც ხდებოდა. აქედგან ნათ-

ლადა სჩანს, რომ ამ გვარი ამბავი დაჩემებული სენი ყოფილა საზოგადოებურის წესწყობილებისა და თავს ყოველთვის იჩენს, თუ ჰავა არ გამოეცვლება. ამ აზრს ადგანან ამ ჟამად გერმანელი გაზეთები ბერლინში მომხდარ უწესოების შესახებ. და რადგან საქმე ასეა, რაკი ეს ამბავი შემთხვევითი ამბავი არ არის, არამედ შემდეგშიაც ყოველთვის მოსალოდნელია, ამიტომ უბრალო წამალი ვერას არგებს, ერთ ხნობით მუშების გაძღომა და დაკმაყოფილება ძირიანად ვერ აღმოფხვრის სენსა და საჭიროა სათავეშივე დაიწყვიტოს. თუ დიდი და ძირითადი საეკონომიო ცვლილებანი არ მოხდა მიწად-მფლობელობისა და მრეწველობის წეს-წყობილებაში, ერთის სიტყვით, თუ საეკონომიო ვითარება აწინდელის ცხოვრებისა არ შეიცვალა, უსაქმოდ დარჩენილი მუშა ხალხი მუდამ არ გამოილევადა ამ უწესოებაზე სხვა უარესებსაც მოახდენს.

## წვრილი ამბავი

უცნაური საჩუქარი მიუღია გერმანიის იმპერატორს თავისი დაბადების დღეს თავის შვილთაგან. საყურადღებო ის არის, რომ ეს საჩუქარი გერმანიის იმპერატორის ოთხსავე შვილს თავისის საკუთარის მოგებით უყიდნიათ და ეს მოგებაც პირველი მოგებაა. ამ შემოდგომაზედ მემკვიდრე პრინცს შეუტყვია, რომ იმპერატორის ტყეებში ირმებს რქისა და ტყის წაბლს აჭმევენო. თავის ძმებთან ერთად დაუწყია რქისა და ტყის წაბლის მოგროვება და მთელი გროვა დაუყენებიათ. მთელის კვირაობით უგროვიათ ეს ირმების საზრდო და ბოლოს ტყის უფროსისათვის მიუყიდნიათ. ოთხივენი დასწრებიან, როდესაც საქონელი აუწონიათ, ფული გამოურთმევიათ და საჩუქარი უყიდნიათ მამისათვის.

— სურათებიან ჟურნალს „Звѣзда“-ში დაბეჭდილია სურათი აწინდელის ოსმალეთის პოეტ-ქალის ნიგიარ-ხანუმასი და მისი მცირე ბიოგრაფია. ნიგიარ-ხანუმა ქალიშვილია განთქმულის გენერალის ოსმან-ფაშასი და სტამბოლში დაბადებულა 1865 წ. იმის დედასაც მალიან ჰყვარებია ოსმალური სალხური სიმღერა-გალობანი. გათხოვების შემდეგ ნიგიარ-ხანუმი ქმარს გაჰყრია, დაბრუნებულა სახლში და პოეზიისათვის მიუყვია ხელი. 1889 წ. დაიბეჭდა პირველი კრებული ნიგიარ-ხანუმის ლექსებისა, ეწოდებოდა „აფსუს“ („აღმოხვრა“) და მაშინვე საერთო ყურადღება მიიქცია. პოეტმა-ქალმა კარგად იცის ფრანგული და გერმანული ენა, ევროპის მწერლები შესწავლული აქვს, ზოგიერთი მათგანი გადმოუთარგმნა კიდეც და, ამას გარდა, რამდენიმე ორიგინალური მოთხრობაც აქვს დაწერილი ოსმალეთის საერო ცხოვრებიდგან. იმას ნათარგმნ ლექსთა შორის ზოგიერთი ლექსია პუშკინისა, ლერმონტოვისა, ჟუკოვსკისა და კრილოვისა. ზოგიერთი თხზულებანი ნიგიარ-ხანუმასა შარშან გადათარგმნეს ფრანგულს ენაზედ საფრანგეთის ელჩმა, ოსმალეთში მყოფმა, ბ-ნმა გოვარდმა და ვენგრიულს ენაზედ ექიმმა კუნოსმა.

— როცა თავადი ბისმარკი ელჩად იყო ფრანკფურტში, ერთის იქაურის თავადიშვილის სახლში სცხოვრობდა თურმე. ბისმარკის ოთახში ზარი გაყვანილი არ იყო, სთხოვა მოსამსახურეს რკინის კანცლერმა, ზარი გამიმართეთ მოსამსახურის დასაძახებლადაო, მაგრამ თავადს ისეც ჰქირსავით ეჯავრებოდა „პრუსიელი“ და ამიტომ უპასუხა, რომ ფული არა მაქვს და ჩემის ხარჯით ვერ გავიმართავთ ზარსაო. მეორე დღეს სახლის მდგმურები დიდად აღელვებულნი იყვნენ, რადგან თოფის სროლის ხმა გაისმა. ყველაზედ მეტად სახლის პატრონს შეეშინდა, დარბოდა აქეთ-იქით ოთახებში და ბოლოს ბისმარკის კაბინეტშიაც ავიდა. ბისმარკი იჯდა საწერ სტოლთან და იქვე იდო რევოლვერი, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა.

„— რა იყო, რა მოხდაო? იკითხა შეშფოთებულმა სახლის პატრონმა.

„— არაფერი, ნუ სწუხდებითო, უპასუხა თურმე ბისმარკმა: დღეიდგან გადავწყვიტე, რომ მოსამსახურეს რევოლვერის სროლით შევატყობინო, აქ მოვიდეს ხოლმე. მართალია რევოლვერს ზარი სჯობია, მაგრამ უფულოდ რჩარა მიჩვევით და ისე აღარ გეჩოთირებათ ყურშიო.

თქმა აღარ უნდა, რომ მეორე დღესვე ბისმარკს ზარი გაუმართეს.

## დეპეშა

28 თებერვალი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა ახალი დებულება სათადარიგო პურის მაღაზიებისა: 300 კომლზე უნდა გაიმართოს ერთი ან ორი მაღაზია და შენახული პური უნდა განახლდებოდეს ხოლმე ყოველ ათის წლის განმავლობაში.

„Нѣмецкая Петер. Газ.“ იუწყება, გენერალი ანენკოვი მიდის მოსკოვის მხრივ ნიჟნიგოროდში, სადაც 1 მარტს უნდა მივიდესო, იქიდგან გენერალი გაემგზავრება ყაზანსა, სიმბირსკსა, სამარასა, პენზასა და ორიოლში და მარტის ნახევარში კვლავ პეტერბურგს დაბრუნდებაო.

პოლკოვნიკს ვენდრიხს ერთგულის სამსახურისა და განსაკუთრებულის შრომისათვის პურის დროიანი ზიდვის საქმეზე ებოძა ორდენი წმ. ვლადიმირისა მესამე ხარისხისა.

„Нов. Вр.“ იუწყება, პოლკოვნიკი ვენდრიხი ეხლა გაემგზავრება რკინის გზებზე იმ საგნისათვის, რომ სამხრეთ რუსეთიდგან ქვის ნახშირის ზიდვა გააძლიეროსო.

„С.-Петер. Вѣд.“-ი იუწყება, სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა დებულება საბირჟო მაკლერებისა, რომლის ძალითაც მაკლერები ყოველს იმ ქალაქში, სადაც ნავთ-სადგურია, არჩეულ უნდა იქმნენ ხოლმე საბირჟო კომიტეტის მიერ იმდენნი, რამდენსაც სამინისტრო გარდასწყვეტსო.

**პარიჟი.** გაზათს „Paix“-ს დეპეშით აუწყებენ სტამბოლიდგან გაგონილს ამბავს სტამბულოვის გარდაცვალების შესახებ.

**პეტრეპავლოვსკი.** აქ გამოგზავნილია მოხელე ფრეიფელდი რამდენისამე ათი ათასის ცხენის სასყიდლად დამშეულ გუბერნიებისათვის. საძოვარი რიგიანია, ცხენები ძღებიან; ცხენი იყიდება 20—25 მან.

**ლონდონი.** პარლამენტის წევრს გასტინგს სასამართლომ მიუსაჯა 5 წლის ვადით კატორგა, რადგანაც ანდერძით ჩაბარებული 21,000 გირვანქა სტერლინგი მიითვისა. გასტინგი 67 წლისაა.

პეტერბურგის ბირჟა, 28 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7, 79 | 7, 83 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 156 | 157 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | 1, 16 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 236 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 226 |
| —მესამისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 198 | — ,, | 200 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## განცხადებანი


ამით ვაუქმებ რწმუნების ქაღალდს, რომელიც მივეცი ჩემს შვილს ტიგრან მიხეილის ძეს ვართანოვს მისაღებად და გარდასახდევინებლად ფულებისა ჩემის მოვალეებისაგან და საწარმოებლად სასამართლოებში საქმეებისა და რომელიც დამტკიცებულია ტფილისის ნოტარიუსის პოლტორაცკის მოადგილის აგარანოვის მიერ 1891 წელს, რეესტრით № 2652. ვაუქმებ ამასთანავე ხსენებულ ჩემის შვილის მიერ იმ ქაღალდის ძალით მარკოზ ივანეს ძის კაშელავასთვის მიცემულს რწმუნების ქაღალდებსაც ზუგდიდის ნოტარიუსის ს. ნ. ჯიქიას მიერ დამტკიცებულს 10, 16 და 17-ს მაისსა და 17 აგვისტოს 1891 წლისას, რეესტრით № 399, 400, 401, 402, 417, 418, 419, 420, 435, 1069 და 1070.

ტფილისის მეორე გილდის ვაჭარი მიხეილ გრიგოლის ძე ვართანოვი.

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—26)

დაიბეჭდა და ისყიდება
ქართულ წიგნების ამხანაგოპის მაღაზიაში და წერა-კითხვის კანცელარიაში:
**სამშობლო ქვეყნის მოგონებები**
დიმიტრი ბაქრაძე
ფასი 20 კაპ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

**ჯილდოს.**

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს. (10—0—2)

კერძო ექიმი
**პრეობრაჟენსკი**
არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გახაგის სასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა. (10—5)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
**„ივერია“**
1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50 ,, | 5 ,, | 5 ,, 50 ,, |
| 10 ,, | 8 ,, 75 ,, | 4 ,, | 4 ,, 75 ,, |
| 9 ,, | 8 ,, — ,, | 3 ,, | 3 ,, 50 ,, |
| 8 ,, | 7 ,, 25 ,, | 2 ,, | 2 ,, 75 ,, |
| 7 ,, | 6 ,, 50 ,, | 1 ,, | 1 ,, 50 ,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 29-го Февраля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.